

საიდ. №72289/03

IR 1142339

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №100-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: თ. ჯაფარიძე (თავმჯდომარე), ლ. ახოზაძე, ლ. კერესელიძე, გ. დუდუჩავას მდივნობით განიხილა კომპანია „სიმრიზე აგ“-ის (Symrise AG) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №100-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 17 მარტის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №400/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის - „SYMSITIVE“ (№72289/03 IR 1142339) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (პირველი და მე-3 კლასები).

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 17 მარტის №400/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „SYMSITIVE“ ჟღერადობით მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანია “პიერ ფაბრე დერმო-კოსმეტიკ“-ის (PIERRE FABRE DERMO-COSMETIQUE) სახელზე რეგისტრირებული ლათინური ანბანით შესრულებული ნიშნისა „SUNSITIVE“ (რეგ. N1025436, რეგ.თარიღი: 22/06/2009). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნები მხოლოდ ორი ასოთი განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას პირველი და მე-3 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „სიმრიზე აგ“ (Symrise AG) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის მოსაზრებით:

1. ნიშნები მსგავსია ზოგიერთი ელემენტებით, მაგრამ არ არიან აღრევამდე მსგავსნი.

2. დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდება როგორც ვიზუალურად, ასევე ფონეტიკურად.

განცხადებული ნიშანი „SYMSITIVE“ და დაპირისპირებული ნიშანი „SUNSITIVE“, ახდენენ სრულიად განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას და ამის გარდა, არიან სრულიად განსხვავებული ფონეტიკური კრიტერიუმების მიხედვით. განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების საწყისი ნაწილები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: „SYM“ და „SUN“ განსხვავდება ორი ასოთი „YM“ და „UN“ და იკითხება, როგორც „სიმ“ და „სან“. ორივე სიტყვაში, მეორე ნაწილი „SITIVE“ ერთი და იგივეა და გამომდინარეობს სიტყვიდან „სენსიტივ“, რომელიც ნიშნავს მგძნობიარეს და ძირითადად გამოიყენება კოსმეტიკური კომპანიების მიერ. აპელანტის პოზიციით, საქპატენტში რეგისტრირებულია ამ სიტყვის შემცველი ბევრი ნიშანი, მაგალითად:

„Schwarzkopf color sensitive“, „PERWOLL SENSITIVE MAGIC“, „Persil Sensitiv“, „LUX SENSITIVE“, „SENSITIVE BALANC“. აქედან გამომდინარე, ამ სიტყვის ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს ფორმანტად. აპელანტის მითითებით, დაპირისპირებული ნიშანი „SUNSITIVE“ შეიცავს სიტყვას „SUN“. ცნობილია, რომ სიტყვა „სან“ ნიშნავს მზეს, ე. ი. რიგითი მომხმარებლისათვის ეს ორი აღნიშვნა „SYMSITIVE“ და „SUNSITIVE“ არ იქნება ერთი და იგივე. ნიშანი „SUNSITIVE“, როგორც პირდაპირ ამ სიტყვიდან გამომდინარეობს, რეგისტრირებულია შემდეგი საქონლისათვის: 01 –

„მზისგან დამცავი კომპლექსი კოსმეტიკურ ინდუსტრიაში გამოსაყენებლად“ (Photoprotection complex for use in the cosmetics industry), 03 – „მზისგან დამცავი კომპლექსი მზისგან დამცავი კოსმეტიკის საშუალებებში გამოსაყენებლად“ (Photoprotection complex used in sun care products for cosmetic use), რაც მიუთითებს სწორედ გამომშვებ პროდუქციაზე – მზისგან დამცავ პრეპარატებზე. აპელანტის განმარტებით, განცხადებული აღნიშვნა „SYMSITIVE“, არის ფანტაზიური და მისი პირველი სამი ასო იმეორებს განმცხადებლის დასახელების პირველ სამ ასოს. განმცხადებელს სურს, რომ მისი დასახელება რიგითი მომხმარებლის აზროვნებაში მკვეთრად იყოს ასოცირებული მის მიერ წარმოებულ (გამომშვებულ) პროდუქციასთან. ფირმა „სიმრიზე აგ“ (Symrise AG) ძირითადად აწარმოებს არომატებს, ნედლეულს, მათ შორის ინგრედიენტებს, არომატიზატორებს კოსმეტიკური საშუალებებისათვის საერთაშორისო კლასიფიკაციის პირველი და მე-3 კლასის საქონლისათვის. აპელანტი აზუსტებს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია „Pierre Fabre Dermo-Cosmetique“ ძირითადად აწარმოებს ფარმაცევტულ პრეპარატებს და დერმო-კოსმეტიკას, რომელიც მიეკუთვნება მე-5 კლასს. აპელანტი ასევე, აცხადებს, რომ კომპანია „Symrise AG“ შეიქმნა 2003 წელს სამი კომპანიის გაერთიანებით და გააჩნია თავისი წარმომადგენლობა მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში და არის საერთაშორისო ლიდერი არომატიზატორების და სურნელოვანი ნივთიერებების წარმოების სფეროში საკვები და კოსმეტიკური მრეწველობისათვის. კომპანია „Symrise AG“ არის გლობალური მიმწოდებელი სუნამოების, არომატიზატორების, კოსმეტიკური აქტიური ინგრედიენტების და ნედლეულის. მას უკავია საბაზრო წილის 11% (2013 წლის მონაცემებით) და არის მსოფლიო მეოთხე უდიდესი მიმწოდებელი ბაზარზე. დაახლოებით 30000 პროდუქტი მზადდება ბუნებრივი ნედლეულისგან, როგორცაა ვანილი, ციტრუსი, და სხვა მცენარეული მასალა. კომპანიის ნივთიერებებსა და ეთერზეთებს ყიდულობენ სხვა კომპანიები და თავიანთ პროდუქციაში მთავარ კომპონენტებად იყენებენ პარფიუმერიაში და კოსმეტიკაში. აპელანტის მტკიცებით, კომპანია „Symrise AG“ -თვის ფრიად მნიშვნელოვანია სასაქონლო ნიშნის „SYMSITIVE“ (საერთაშორისო N. 1142339) სამართლებრივი დაცვა საქართველოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 17 მარტის “საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ” №400/03 ბრძანების ბათილად

ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის - „SYMSITIVE“ (№72289/03 IR 1142339) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (პირველი და მე-3 კლასები).

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №100-03/14) ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტი კომპანიის „სიმრიზე ა.გ.“ მიერ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „SYMSITIVE“ და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „SUNSITIVE“ ზოგიერთი ელემენტით ერთმანეთის მსგავსია. ეს მსგავსება გამომდინარეობს ნიშნების სიტყვიერი ელემენტის ბოლო ნაწილიდან, კერძოდ „SITIVE“. სიტყვიერი ნაწილი „SITIVE“ მომდინარეობს სიტყვიდან „სენსიტივ“, რომელიც ნიშნავს მგრძობიარეს. აღნიშნული სიტყვა კოსმეტიკური, კანის მოვლის და ჰიგიენური პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების მიერ აქტიურად გამოიყენება და ის გვხდება არა ერთ რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანში. შესაბამისად, იგი წარმოადგენს განმასხვავებლობის სუსტ ელემენტს ნიშანში. რაც შეეხება გაცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განმასხვავებელუნარიან ძირითად ელემენტებს, ისინი მოცემულია სასაქონლო ნიშნების სიტყვიერი ელემენტის საწყის ნაწილში, კერძოდ „SUN“ და „SYM“. იქიდან გამომდინარე, რომ გაცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვა პირველი და მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალისათვის (1 - ქიმიკატები და ქიმიური პროდუქტები, დამზადებული მცენარეული მასალებისგან, რომელიც კოსმეტიკურ ინდუსტრიაში გამოიყენება; 3 - პაფიუმერია, არომატიზატორები, ზეთები, კოსმეტიკა.), კოლეგიამ მიიჩნია, რომ სიტყვა „SYM“ ფანტაზიურია და მას დამოუკიდებელი სემანტიკური მნიშვნელობა არ გააჩნია. გარდა ამისა, კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ სიტყვიერი ნაწილი „SYM“ იმეორებს განმცხადებელი კომპანიის სახელწოდების პირველ სამ ასოს, რაც მომხმარებელს გაუადვილებს ამ სასაქონლო ნიშნის მის მწარმოებელ კომპანიისათან ასოცირებას. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მთავრდება თანხმოვანზე. ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ ბოლოში ემატებათ ხმოვანი „ი“, შესაბამისად, განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „სიმსიტივი“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „სანსიტივი“.

ნიშნები განსხვავებულია ასევე, სემანტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ფანტაზიურ ნიშანს, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საწყისი ნაწილი „SUN“, ქართულად მზეს ნიშნავს.

ამასთან, კოლეგია თვლის, რომ ნიშნებს შორის აღრევის შესაძლებლობა კიდევ უფრო შემცირდება, თუ განცხადებული სასაქონლო ნიშნის პირველი და მე-3 კლასის საქონელი შეიზღუდება შემდეგნაირად: კლასი 01 – „ქიმიკატები და ქიმიური პროდუქტები, დამზადებული მცენარეული მასალებისგან, რომელიც კოსმეტიკურ ინდუსტრიაში გამოიყენება, გარდა მზისგან დამცავი კოსმეტიკური საშუალებებისა“. კლასი 03 - „პაფიუმერია, არომატიზატორები, ზეთები, კოსმეტიკა, გარდა მზისგან დამცავი კოსმეტიკური საშუალებებისა“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული შეზღუდვის გათვალისწინებით, ადგილი აღარ ექნება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნისათვის „SYMSITIVE“ (72289/03 IR142339) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „სიმრიზე აგ“ (Symrise AG) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 17 მარტის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №400/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „SYMSITIVE“ (72289/03 IR142339) მიენიჭოს დაცვა საქართველოში პირველი და მე-3 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: კლასი 01 – „ქიმიკატები და ქიმიური პროდუქტები, დამზადებული მცენარეული მასალებისგან, რომელიც კოსმეტიკურ ინდუსტრიაში გამოიყენება, გარდა მზისგან დამცავი კოსმეტიკური საშუალებებისა“. კლასი 03 - „პაფიუმერია, არომატიზატორები, ზეთები, კოსმეტიკა, გარდა მზისგან დამცავი კოსმეტიკური საშუალებებისა“.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

თ. ჯაფარიძე

წევრები:

ლ. ახოზაძე

ლ. კერესელიძე